28 თებერვალი 2023

სს მეგალაბი
პ. ქავთარაძის 23,
0186, თბილისი, საქართველო

1. წინასიტყვაობა

სს „მეგალაბის“ (შემდგომში „კომპანია“) ხელმძღვანელობის მიერ ჩატარდა კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების ანალიზი. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ერთადერთი შვილობილი კომპანიის, შპს „პათჯეო“-ს, კონსოლიდაციის შედეგად მიღებული კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება, კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებისგან არსებითად არ განსხვავდება.

2. ბასს სტანდარტებთან შესაბამისობა

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (ბასს 1), ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში შეიძლება მოსალოდნელი იყოს, რომ მისი გამოტოვება, არასწორად ან ბუნდოვნად წარდგენა გავლენას მოახდენს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის მიერ განმარტებული არსებითობა თანხვედრაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ამ განმარტებასთან.

3. დასკვნა

ზემოთ მოცემული ანალიზის საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, არ წარადგინოს სს „მეგალაბის“ კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება და სანაცვლოდ წარადგინოს მხოლოდ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებასთან ერთად.

გენერალური დირექტორი:

ირაკლი გოგია

_____